



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

30 მარტი 2026



N 203/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თერჯოლის, ზესტაფონის და ტყიბულის მუნიციპალიტეტებში, შპს „გოგნის ქარის კომპანიის“ 224 მგვტ სიმძლავრის „გოგნის ქარის ელექტროსადგურის“, 220 კვ ძაბვის საჰაერო და 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზების და 220 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

შპს „გოგნის ქარის კომპანიის“ (ს/კ - 404643418) მიერ “გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” (შემდგომ - კოდექსი) შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) 2026 წლის 8 იანვარს (განცხადება N 56) წარმოდგენილ იქნა დაგეგმილი საქმიანობის (თერჯოლის, ზესტაფონის და ტყიბულის მუნიციპალიტეტებში, 224 მგვტ სიმძლავრის „გოგნის ქარის ელექტროსადგურის“, 220 კვ ძაბვის საჰაერო და 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზების და 220 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია) გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ - გზშ) ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. გზშ-ის ანგარიშის განხილვის მიზნით სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (ბრძანება N 15/ს; 15.01.2026) და შესაბამისი უწყებების ადმინისტრაციულ წარმომადგენლებში ჩართვა. ასევე, დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით გზშ-ის ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და კანონმდებლობის შესაბამისად განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

გზშ-ის ანგარიში მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია შპს „დგ კონსალტინგის“ მიერ.

2025 წლის 1 სექტემბერს შპს „გოგნის ქარის კომპანიის“ მიერ (წერილი N 8437), სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოდგენილ იქნა თერჯოლის, ზესტაფონის და ტყიბულის მუნიციპალიტეტებში, გოგნის ქარის ელექტროსადგურისა და მისი ქსელთან დამაკავშირებელი 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების,

მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები. (ბრძანება N 627/ს 13.10.2025).

გზშ-ის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილი N 21/3151, 10.03.2026) შპს „გოგნის ქარის კომპანიის“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილი იქნა დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით დამატებითი დოკუმენტაცია/ინფორმაცია (წერილი N3564, 11.03.2026). კერძოდ, დაზუსტდა ინფორმაცია ხელფრთიანთა კვლევისა და აღრიცხვა/მონიტორინგის, პროექტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ადგილმდებარეობის ცვლილების (ქვესადგურის, საოპერაციო ბანაკის, მისასვლელი გზების, ელექტროგადამცემი ხაზის და ანძების), გეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხები და სხვა. ასევე წარმოდგენილი იქნა ტურბინების დაცვის/ბუფერი SHP ფაილების სახით. ზემოაღნიშნული საკითხები განხილული იქნა საექსპერტო კომისიის (ბრძანება N 154/ს; 13.0.2026) მიერ. დაზუსტებული დოკუმენტაცია განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის კანონმდებლობის შესაბამისად განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, თერჯოლის ზესტაფონისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტებში კომპანიას დაგეგმილი აქვს 224 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის (სოფელ გოგნისა და სოფელ მუხურას შორის მდებარე მთის ქედზე), 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის და 220 კვ ქვესადგურის განთავსება. პროექტით გათვალისწინებული ტურბინა-გენერატორების განთავსების ადგილიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს დაახლოებით 515 მეტრში (სოფ. მუჯირეთი), ასევე დაზუსტებული დოკუმენტაციის შესაბამისად, 415 მეტრში მდებარეობს სეზონური სახლი (სოფ. აღისუბანი), ხოლო სოფელ გოგნის უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილია 617 მეტრი. 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 50 მეტრში (ქ. თერჯოლა). ქვესადგურის ტერიტორიის და სასაწყობე უბანიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 1.5კმ-ზე მეტ მანძილზე. საპროექტო ტერიტორიის ნაწილი მდებარეობს სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე. ასევე საპროექტო ტერიტორია მოიცავს კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს. წარმოდგენილი Shp ფაილების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია კვეთს სხვადასხვა ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებს, ასევე საერთაშორისო მნიშვნელობის „თბილისი-სენაკი-ლესელიძის“ (ს1/E60) საავტომობილო გზას.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია გოგნის ქარის ელექტროსადგურის პროექტის ფარგლებში შემავალი ობიექტების: ქარის ტურბინა-გენერატორების რაოდენობისა და განლაგების, ქვესადგურის განთავსების, ელექტროგადამცემი ხაზის ალტერნატიული ვარიანტები, ტურბინა-გენერატორების ალტერნატივებისა და უმოქმედობის ალტერნატივა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ქარის ელექტროსადგურისთვის შერჩეულ ტერიტორიაზე განხილულია ქარის ტურბინების განლაგების 3 ალტერნატიული ვარიანტი (I ალტერნატიული ვარიანტი - 28 ერთეული ტურბინა; II ალტერნატიული

ვარიანტი - 21 ერთეული ტურბინა და III ალტერნატიული ვარიანტი - 17 ერთეული ტურბინა), რომლიდანაც უპირატესობა მიენიჭა I ალტერნატიულ ვარიანტს, ელექტროენერჯის გენერაციის ეფექტურობისა და ზემოქმედების შეფასების კუთხით. ქვესადგურის განთავსების შესახებ წარმოდგენილი 5 ალტერნატიული ვარიანტიდან, ურთიერთშედარების საფუძველზე გარემოსდაცვითი და ტექნიკური საკითხების გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა პირველ ალტერნატიულ ვარიანტს. წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში განხილულია ელექტროგადამცემი ხაზის 3 ალტერნატიული ვარიანტი, რომელთაგან უპირატესობა მიენიჭა პირველ ალტერნატიულ ვარიანტს ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედებისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით. ტურბინა-გენერატორების ალტერნატივებიდან განხილულია ვერტიკალური და ჰორიზონტალური ღერძის ტურბინა-გენერატორები, რომელთაგანაც მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე უპირატესობა მიენიჭა ჰორიზონტალურ გენერატორებს (სამფრთიანი კონსტრუქციით). უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა უარყოფილია ქვეყნის ენერგეტიკული საჭიროების და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორის გათვალისწინებით.

გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებულია პროექტის განხორციელების ეტაპები, რომლის შესაბამისად, თავდაპირველად მოხდება მისასვლელი გზების და ტურბინა-გენერატორების საძირკვლების მოწყობა (მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზების ჩადებით გზის გვერდულზე), დანიშნულების ადგილამდე ტურბინა გენერატორების ტრანსპორტირება, ტურბინა-გენერატორების მონტაჟი, მაღალი ძაბვის ქვესადგურის მშენებლობა და ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა. ანგარიშის თანახმად, პროექტის მშენებლობის ეტაპზე დასაქმდება 250 ადამიანი, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე 15 ადამიანი. ასევე პროექტის ექსპლუატაციის ეტაპზე პერიოდულად, ტერიტორიის მცენარეული საფარისგან გასუფთავების/მოვლის მიზნით გათვალისწინებულია დამხმარე პერსონალის 30 ადამიანის დასაქმება. მშენებლობის ეტაპზე დასაქმებული პირების განთავსდება მოხდება სოფლებში ნაქირავებ ფართებში და ახლომდებარე დასახლებულ პუნქტებში.

გათვალისწინებულია 224 მგვტ ჯამური სიმძლავრის 28 ერთეული ქარის ტურბინა-გენერატორის (თითოეული 8 მგვტ, ანძის სიმაღლე 140 მ, როტორის დიამეტრი - 200 მ, ფრთების რაოდენობა - 3, ფრთების სიგრძე - 98 მ) მშენებლობა-ექსპლუატაცია. ტურბინის ტიპები და მათი ძირითადი მახასიათებლები მოცემულია ცხრილის სახით. ტურბინების განთავსების ადგილის GPS კოორდინატებია: T01 - X - 333980, Y- 4680780; T02 - X-335159, Y- 4681340; T03 - X-335406, Y- 4681703; T04 - X-335629, Y-4682053; T05-X- 335658, Y-4682426; T06 - X-335987, Y- 4682924; T07- X-336318, Y- 4683286; T08 - X-337012, Y-4683964; T09 - X-337612, Y-4684297; T10 - X- 338933, Y- 4684364; T11 - X-339151, Y-4683988; T12 - X-339210, Y-4683643; T13 - X-339137, Y- 4683268; T14 - X-339537, Y-4682930; T15 - X-339714, Y-4682562; T16 - X-339803, Y-4681938; T17 - X-337311, Y-4684802; T18- X-337298, Y-4685164; T19-X -337447, Y-4685524; T20 - X-337375, Y- 4685894; T21 - 337533, Y-4686260; T22 - X-337379, Y-4688159; T23 - X-337776, Y-4688528; T24 - X-337636, Y- 4687802; T25 - X-338418, Y-4687269; T26 - X-338664, Y-4687625; T27 - X-338351, Y- 4688145; T28 - X-338808, Y-4688583. გზშ-ის ანგარიშის თანახმად ტურბინა-გენერატორების შემადგენელი ელემენტებია: საყრდენი ღრუტანიანი ბოძი, ტურბინა-გენერატორის გონდოლა, რომელშიც

განთავსებულია ამპრავი, ბრუნვითი მომენტის გადაცემის სისტემა, სიჩქარეთა კოლოფი, გენერატორი და ელექტროაღჭურვილობა. ასევე გონდოლას წინა მხრიდან მაგრდება სამკუთხა ელემენტი, რომელშიც განთავსებულია ფრთების მართვის მექანიზმები და რომელიც ასევე აღჭურვილია ფრთების დასამაგრებელი კვანძით. პროექტის მიხედვით, თითოეული ანძის საძირკვლის ბუფერის დიამეტრია 35 მეტრი, სიმაღლე 6-8 მ.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით ქესის ტურბინა-გენერატორების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის შეკრების და ქვეყნის ელექტროქსელში ჩართვის მიზნით გათვალისწინებულია 220 კვ ძაბვის ქვესადგურის მოწყობა (110*122 მ), რომელიც განთავსდება T06 და T07 ანძებს შორის (1.33 ჰა ფართობზე), ქარის ელექტროსადგურის მისასვლელი გზიდან დასავლეთის მიმართულებით (ქესთან დაგეგმილ მისასვლელ გზასთან 350 მეტრში). ქვესადგურის ტერიტორიის მიმდებარედ გათვალისწინებულია საწყობის მშენებლობა (30*60 მ-ზე). ქვესადგურთან მოხდება ყველა ტურბინა-გენერატორის დაკავშირება, 35 კვ-იანი მიწისქვეშა კაბელის საშუალებით. 35 კვ. მიწისქვეშა კაბელის გაყვანა დაგეგმილია მისასვლელი გზების კიდეში. დაგეგმილ ქვესადგურში განთავსდება 2 ერთეული ავტოტრანსფორმატორი, რომლებიც აღჭურვილი იქნება მომსახურებისა და ავარიული შემთხვევებისათვის განკუთვნილი ზეთშემკრები სისტემით. ტრანსფორმატორების საშუალებით მოხდება მიღებული ელექტროენერჯის ძაბვის გაზრდა 220 კვ-მდე, ხოლო შემდგომ, ქვესადგური დაუკავშირდება ზესტაფონის არსებულ 500 კვ-იან ქვესადგურს „ზესტაფონი 500“-ს 220 კვ ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის საშუალებით.

220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემის ხაზის სიგრძე დაახლოებით 21.2 კმ-ია (ხაზზე არის 550 მეტრის მონაკვეთი სადაც ელექტროგადამცემი ხაზი 2 პარალელურ ხაზად იყოფა). ეგბ-ის განთავსება დაგეგმილია 87 ერთეული ანძაზე (N47 და N48 ანძებზე ხაზი იყოფა და გათვალისწინებულია 47' და 48' ანძების მონტაჟი). პროექტი ითვალისწინებს ორჯაჭვიანი ხაზის მოწყობას - 6 სადენს თითოეულ ანძაზე. ელექტროგადამცემი ხაზის საწყისი წერტილი მდებარეობს T07 ტურბინის დასავლეთით (Gps კოორდინატებია; X-335863, Y-4683448), ხოლო საბოლოო წერტილი - “ზესტაფონის 500” კვ-იანი ქვესადგურის 220 კვ-იან ფრთასთან, სადაც ხდება სადენების შესვლა ქვესადგურის ტერიტორიაზე (Gps კოორდინატები: X-331374, Y-4668126). ეგბ-ის მუდმივი ზემოქმედების ქვეშ არსებული ტერიტორიის ფართობი ჯამურად შეადგენს - 12,310 მ²-ს. ანგარიშის მიხედვით 220 კვ-იანი ანძების სიმაღლე მერყეობს 35-დან 50 მეტრამდე, ხოლო ანძებს შორის მანძილი საშუალოდ იქნება დაახლოებით 250-350 მეტრი. 220 კვ-იან საპროექტო ელექტროგადამცემ ხაზზე გათვალისწინებულია მეხდამცავი და ოპტიკურ-ბოჭკოვანი გვარლების მონტაჟი.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია, თერჯოლა-გოგნის არსებული გზიდან თითოეულ ანძამდე მისვლის უზრუნველსაყოფად ქესის ტერიტორიაზე დაგეგმილი შიდა მისასვლელი გზების მოწყობის შესახებ, რომლის პარამეტრებია: სიგრძე - 30,942 მეტრი, სიგანე - 8 მეტრი, ფართობი - 433941

მ2. პროექტით, მისასვლელი გზების მოწყობის მიზნით გათვალისწინებულია შემდეგი სახის სამუშაოები, როგორცაა გრუნტის მასების მოძრაობა (გზის დერეფნის გასუფთავება მცენარეულობისგან, გზის მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო ნიშნულებზე დაყვანა), ქვიშა-ხრემოვანი საფარის მოწყობა, გზის გვერდულებზე გათვალისწინებულია ტრანშეების გაყვანა დრენაჟების და გაბიონების მოწყობა. როგორც უკვე აღინიშნა, გზების ერთ მხარეს გათვალისწინებულია 1-1.5-მეტრიანი ტრანშეის გაჭრა, 35 კვ ელექტროგადამცემი ხაზების, საკომუნიკაციო ოპტიკური გაყვანილობისა და დაბალი ძაბვის ელექტრომომარაგების კაბელების განსათავსებლად (განათება, სადგურის შიდა ელექტრომომარაგება და სხვა). ასევე პროექტით გზებზე დაგეგმილია დრენაჟის და გაბიონის მოწყობა წვიმიან ამინდებში წყლის ჩამონადენის რეგულირების უზრუნველსაყოფად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით, 7200 მ2 მიწის ფართობზე (T05 და T06 ტურბინა გენერატორებს შორის) დაგეგმილია საოპერაციო ბანაკის მოწყობა (საოპერაციო ბანაკის GPS კოორდინატებია: X-335734.11, Y-4682460.27; X-335770.98; Y-4682555.77; X-335709.72, Y-4682587.13; X-335665.78, Y-4682510.34), რომელიც არ არის გათვალისწინებული პროექტში დასაქმებულ პირთა საცხოვრებლად. საოპერაციო ბანაკში მოხდება დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობა (საპარკინგე ადგილები, ღია და დახურული საწყობები, ტექნიკის/მოწყობილობის შეკეთების სახელოსნოები, ასევე დამონტაჟდება დიზელის გენერატორი, რომლისთვისაც ნავთობპროდუქტები მიწოდებული იქნება მხოლოდ საჭირო რაოდენობით, საფრთხის თავიდან ასაცილებლად). ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ასევე სახიფათო ნივთიერებებისა და ნარჩენების დროებითი დასაწყობების ადგილების, წყალშემკრები სისტემისა და საასენიზაციის ორმოს მოწყობა. ნარჩენების და საფრთხის შემცველი მასალების გრძელვადიანი შენახვა ტერიტორიაზე არ არის დაგეგმილი. ნარჩენების მართვა გათვალისწინებულია რეგიონული მუნიციპალური სამსახურების მომსახურების საფუძველზე.

ანგარიშის თანახმად, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი არ არის ბეტონის კვანძის და სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის მოწყობა. მშენებლობისთვის საჭირო მასალის, მათ შორის ბეტონის და ლითონის არმატურის შემოტანა განხორციელდება შესაბამისი საწარმოებიდან/მომწოდებლებისგან.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია მშენებლობის ეტაპზე ექსკავაციის შედეგად ამოღებული გრუნტის მართვის შესახებ, რომლის შესაბამისად, მიწის სამუშაოების დროს ამოღებული გრუნტის ი დროებითი დასაწყობება მოხდება თითოეული ქარის ტურბინის, ქვესადგურის და ანძის განთავსების ტერიტორიის მიმდებარედ და გაყვანილი გზების გვერდულზე, ხოლო სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ გამოყენებული იქნება გზების, ქვესადგურის, ქარის ანძების და ელექტროგადამცემი ხაზის ანძებისთვის უკუყრილების სახით, ასევე ტერიტორიის შესავსებად და სხვა. პროექტის თანახმად, სანაყაროების მოწყობა არ არის გათვალისწინებული. ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ტურბინა გენერატორებისა და მისასვლელი გზების მოწყობისას გრუნტის ჭრისა და შევსების მოცულობების შესახებ, რომლის მიხედვით მოჭრილი გრუნტის მოცულობა შეადგენს 1 359 203 მ³-ს, საიდანაც 1 358 304 მ³ გამოიყენება შევსებისთვის.

ნიადაგზე ზემოქმედების თვალსაზრისით, მშენებლობის ეტაპზე, მისასვლელი გზების მშენებლობისთვის მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობაა 34 715 მ³, ქარის ტურბინების გენერატორების სამშენებლო მოედნის განთავსებისთვის - 49 730 მ³, საჭაერო ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის დროს - 7 960 მ³, ქვესადგურისა და საოპერაციო ბანაკის მოწყობისთვის ჯამში 2780 მ³, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად დროებით დასაწყობდება სამშენებლო მოედნების/უბნების მიმდებარედ, თხრილების გასწვრივ, მისასვლელი გზების გასწვრივ და სხვა და შემდგომ გამოყენებული იქნება სარეკულტივაციო სამუშაოებში. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, სარეკულტივაციო სამუშაოები განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო რეგიონის ფონური მდგომარეობის და გარემო პირობების აღწერა. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავებში მოცემულია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე. ამასთან, მოსალოდნელი ზემოქმედების შერბილების, პრევენციის მიზნით განსაზღვრულია შესაბამისი ღონისძიებები და გარემოსდაცვითი მონიტორინგის საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის შესაბამის თავებში წარმოდგენილია ქარის ელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შედეგად გამოწვეული ზემოქმედების შეფასება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე. მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ძირითად წყაროს წარმოადგენს სამშენებლო სამუშაოებში გამოსაყენებელი ტექნიკა/დანადგარები, ასევე მიწის სამუშაოები. ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ძირითადად დაკავშირებულია სარემონტო-პროფილაქტიკურ სამუშაოებთან. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია მშენებლობის ეტაპზე, მტვრის გავრცელების თავიდან ასაცილებლად ან/და შესამცირებლად განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებები.

დაზუსტებული დოკუმენტაციის შესაბამისად, ვინაიდან პროექტი არ ითვალისწინებს საცხოვრებელი ბანაკის მოწყობას, საოპერაციო ეზოს წყალმომარაგების საჭიროება მინიმალურია და მოხდება ცისტერნებით. ქვის ექსპლუატაციის ეტაპზე წყლის გამოყენება გათვალისწინებულია სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით, რომლის უზრუნველყოფაც მოხდება ცისტერნებით და ბუტილირებული წყლით. გზშ-ის ანგარიშის თანახმად ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების ან/და წყალჩაშვების შემთხვევაში, დაცული იქნება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. საოპერაციო ბანაკის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია საასენიზაციო ორმოს მოწყობა, რომლის განტვირთვა განსაზღვრულია რეგიონალური მუნიციპალური სამსახურის მიერ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ხმაურის გავრცელების თვალსაზრისით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება, როგორც პროექტის მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპთან. მშენებლობის ეტაპზე ხმაურის გავრცელების წყაროს წარმოადგენს სამშენებლო ტექნიკა/დანადგარები. წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად, ქარის ტურბინებიდან უახლოეს მოსახლემდე მანძილი აღემატება 500 მეტრს (სეზონურ სახლამდე 415 მ). პროექტი ასევე ითვალისწინებს ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის ეტაპზე ხმაურით მოსალოდნელ ზემოქმედებას უახლოეს საცხოვრებელ სახლთან (50 მ) და შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებს ზემოქმედების შემცირების უზრუნველსაყოფად. გზშ-ის ანგარიშის და დაზუსტებული დოკუმენტაციის თანახმად, ტურბინა-გენერატორების ექსპლუატაციის ეტაპზე ფონური მაჩვენებლის გათვალისწინებით ხმაურის მოსალოდნელი დონე არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. კერძოდ, დაზუსტებული დოკუმენტაციის თანახმად, ხმაურის მაქსიმალური დონე სოფელ ალისუბნის სეზონურ სახლთან (T08-დან 415 მ), ფონური ხმაურის (30დბა) გათვალისწინებით შეადგენს 44.7 დბა-ს, სოფ. გოგნში არსებულ უახლოეს საცხოვრებელ სახლთან (617 მ), ფონური მაჩვენებლის (30დბა) გათვალისწინებით - 41.41 დბა-ს, სოფ. მუხურაში მდებარე უახლოეს სახლთან (836 მ) ფონური ხმაურის გათვალისწინებით (30 დბა) - 40.1 დბა-ს, სოფ. მუჯირეთში მდებარე უახლოეს სახლთან (515 მ) - 38.50 დბა-ს.

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ტურბინების ექსპლუატაციის ეტაპი დაკავშირებული იქნება შუქ-ჩრდილების მონაცვლეობით მოსალოდნელ ზემოქმედებასთან. გზშ-ის ანგარიშს თან ახლავს, შუქ-ჩრდილების ციმციმის მოდელირება და ჩრდილის ციმციმის შეფასება სპეციალური კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით, რომლის საფუძველზეც განისაზღვრა კონკრეტული ტურბინის ზემოქმედება თითოეულ რეცეპტორზე და მოხდა წლიური გრაფიკის დადგენა, თუ როდის უნდა მოხდეს ტურბინის გაჩერება ზემოქმედების შერბილების ან/და თავიდან აცილების უზრუნველყოფის მიზნით. გაანგარიშების მიხედვით 28 ტურბინიდან 14 ტურბინა არ საჭიროებს კორექტირებას დროში და გამორთვას წლის განმავლობაში მოციმციმე ჩრდილების შერბილების მიზნით. სიმულაციის შედეგებზე დაყრდნობით, სულ ტურბინების გაჩერების საათების ჯამი წელიწადში შეადგენს არაუმეტეს 1628 სთ-ს და დაკორექტირდება რეალური სიტუაციის გათვალისწინებით. ანგარიშის შესაბამისად, კორექტირებას, შეზღუდვების რეჟიმს ექვემდებარება 14 ტურბინა („T01“, „T02“, „T03“, „T04“, „T05“, „T06“, „T07“, „T10“, „T15“, „T16“, „T17“, „T19“, „T20“, „T21“), რაც ტურბინების პერიოდულ, ხანმოკლე დროით გამორთვას გულისხმობს.

გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია, ტურბინებზე ყინულის წარმოქმნით გამოწვეული ნეგატიურ ზემოქმედებასთან დაკავშირებით. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ტურბინის ფრთებზე შესაძლო წარმოქმნილი ყინული პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს პერსონალისთვის და მიმდებარე ტერიტორიაზე მოხვედრილი ადამიანებისთვის, ასევე სატრანსპორტო საშუალებებისთვის. ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია ყინულის ტიპური გატყორცნის მანძილების შესახებ (250-400 მ, ყინულის ფრაგმენტის წონა - 2-5 კგ), სხვადასხვა კვლევებისა და გამოცდილების გათვალისწინებით. ყველაზე უარესი სცენარის გათვალისწინებით გოგნის ქარის ელექტროსადგურისთვის ყინულცვენის მანძილი განისაზღვრა 500 მ-ით, ხოლო 5 კგ და მეტი წონის ყინულის შემთხვევაში კი სროლის მანძილი იწყებს

შემცირებას. მოსალოდნელი ზემოქმედების, მათ შორის ტერიტორიაზე მოხვედრილ პირებზე შესაძლო ზემოქმედების რისკების, შემცირების მიზნით გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებულია შესაბამისი ღონისძიებები (მაგ: მონიტორინგი, ამკრძალავი ნიშნების დაყენება, საჭიროების შემთხვევაში სადგურის დროებითი გაჩერება).

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია საპროექტო არეალის გეოლოგიური პირობების შესახებ. ამასთან, დოკუმენტაციას თან ახლავს გეოლოგიური კვლევის ანგარიში, სადაც განხილულია თითოეული სამშენებლო უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები აღნიშნულ ანგარიშში მოცემულია შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები თითოეული სამშენებლო უბნის შესახებ. საქართველოს გეომორფოლოგიური დაყოფის სქემის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს კოლხეთის აღმოსავლეთ ნაწილში, კერძოდ, იმერეთის დაბლობზე. ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვის საფუძველზე, საპროექტო არეალში გამოიყოფა გრუნტების და კლდოვანი ქანების 6 განსხვავებული შედგენილობისა და თვისებების მქონე ფენა, საიდანაც 2 არის კლდოვანი და ნახევრად-კლდოვანი, ხოლო 4 არაკლდოვანი გრუნტი. ანგარიშის შესაბამისად, საკვლევი უბნის ვიზუალური დათვალიერების შესაბამისად, ელექტროგადამცემი ხაზის გასწვრივ საყრდენების ადგილებში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საშიში ეგზო-გეოდინამიკური პროცესები არ ფიქსირდება, უბნები მდგრადია და მშენებლობებისათვის მისაღებია. გეომორფოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულიდან გამომდინარე, სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება III (რთულ) კატეგორიას. ქარის ელექტროსადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე გეოლოგიურ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საკვლევი ტერიტორია განეკუთვნება 8 ბალიანი სეისმური აქტივობის ზონას. დაზუსტებული დოკუმენტაციის შესაბამისად, დაგეგმილია ელექტროსადგურის განთავსების ადგილების დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლა, რომლის მიხედვითაც შერჩეული იქნება უსაფრთხო საინჟინრო გადაწყვეტილებები, რომლის საშუალებითაც მიღწეული იქნება ელექტროსადგურის ელემენტების საინჟინრო მდგრადობა. ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის ეტაპზე გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკების პრევენციის მიზნით სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში და შემდგომ ექსპლუატაციის ეტაპზე გათვალისწინებულია ეროზიული პროცესების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ღონისძიებების გატარება. წარმოდგენილი დაზუსტებული დოკუმენტაციის ჰიდროლოგიური დასკვნის შესაბამისად, წყალშემკრებსა და წყალგამოვლინების ადგილის სიმაღლეების სხვაობის გათვალისწინებით ტურბინის საძირკველის სიმაღლე ვერ მოახდენს ზეგავლენას მიწისქვეშა წყლებზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, გოგნის ქარის ელექტროსადგურის და 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის ტერიტორიები მნიშვნელოვნად არის დაშორებული დაცული ტერიტორიებიდან. პროექტის ზემოქმედების არეალთან ყველაზე ახლოს მდებარე აჯამეთის ნაკრძალი 10კმ-ზე მეტი მანძილით არის დაშორებული ქესის ტერიტორიიდან, ხოლო ეგხ-ის ზესტაფონის 500 კვ-იან ქვესადგურთან შემაერთებული წერტილი აჯამეთის ნაკრძალთან მდებარეობს 3 კმ-ში. საპროექტო ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს არ არის გამოვლენილი ზურმუხტის ქსელის არცერთი უბანი. ქარის ტურბინების ჩრდილოეთით, ყველაზე ახლოს მდებარე ზურმუხტის ქსელით დაცული ტერიტორია რაჭა 3 (GE0000041) და რაჭა 4 (GE0000042) 7 კმ-ზე მეტი მანძილით არის დაშორებული საპროექტო ტერიტორიიდან. საპროექტო ტერიტორიის ნაწილი ექცევა სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე.

დოკუმენტაციაში წარმოდგენილია სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მოსაზრება, რომლის თანახმად პროექტის განხორციელების მიზნით, სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში, სააგენტო არ არის წინააღმდეგი იმსჯელოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების გაცემაზე.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით (გადამცემი ხაზის დაცვის ზონა; მისასვლელი გზა; ქარის ტურბინის სამშენებლო მოედნები; ქვესადგური; საოპერაციო ბანაკი) მთლიანი 2245103 კვ.მ. (225 ჰა) ფართობიდან (shp ფაილი), „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 767 386 კვ.მ. (76.7 ჰა). წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ტერიტორიას. კერძოდ, ტყიბულის სატყეო უბნის მუხურის სატყეოს, კვარტალი NN14;15;16;18;19;20;22;23;24;26 და თერჯოლის სატყეოს ყოფილ საკოლმეურნეო ტყეს. სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე მდებარე 767 386 კვ.მ. ნაწილობრივ ან სრულად ზედდებათა სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე: ს/კ N 39.02.30.268; N 39.02.35.258; N 39.02.35.256; N 33.18.31.193. ზემოაღნიშნული საკადასტრო კოდებიდან, N 39.02.35.256, N 33.18.31.193 და N 39.02.35.258 საკადასტრო კოდებზე სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 08/09/2025წ. N 2491/ს ბრძანებით, ასევე N 39.02.30.268 კოდზე 04/08/2025წ. N 1955/ს ბრძანებით, 2 წლის ვადით, ტყითსარგებლობის უფლება მიენიჭა შპს „გოგნის ქარის კომპანია“-ს.

ქარის ტურბინების დაცვის ზონასთან დაკავშირებით დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით: “მთლიანი 878498 კვ.მ ფართობიდან (shp-ფაილი) „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 671476 კვ.მ წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ტერიტორიას. კერძოდ, ტყიბულის სატყეო უბნის მუხურის (კვარტალი NN14-16; 18- 20; 22; 23; 26; 42) და თერჯოლის (კვარტალი N1; 5; 7 და ყოფილი საკოლმეურნეო ტყე) სატყეოებს. შპს „გოგნის ქარის კომპანიის“ მომართვის საფუძველზე, მიმდინარეობს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილი სახელმწიფო ტყის ფართობების წინსწრებით რეგისტრაცია, შემდგომში „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილების თანახმად, სარგებლობაში გაცემის მიზნით.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო არეალში ჩატარებული ფლორისტული შეფასება, რომელიც მოიცავს საკვლევ დერეფანში არსებული ჰაბიტატების, მცენარეული საფარის დეტალური ნუსხების შედგენას და მცენარეული საფარის ინვენტარიზაციას. ასევე მონაცემები შეგროვდა ლიტერატურული და მარშრუტული მეთოდის გამოყენებით, საჭიერო ელექტროგადამცემი ხაზის, ქარის ყველა ტურბინის და ქვესადგურის განთავსების ტერიტორიებზე. საპროექტო არეალში გამოვლენილი

ძირითადი ჰაბიტატების ტიპებია: ტყის ტიპის ჰაბიტატები, მეორეული ტიპის მდელოს ჰაბიტატები და სასოფლო-სამეურნეო მიწები. გზის ანგარიშის მიხედვით, საკვლევ არეალის შემადგენლობაში შედის ძირითადად ერთი ტიპის ჰაბიტატი, რომელიც EUNIS-ის ჰაბიტატების კლასიფიკაციის მიხედვით კლასიფიცირდება როგორც G1.6 წიფლნარი G1.6 Fagus woodland, აღნიშნული ჰაბიტატი მოიცავს, როგორც უშუალოდ წმინდა წიფლნარებს ასევე გვხვდება სხვადასხვა ქვე-კატეგორიის სახით, როგორცაა: წიფლნარ-წაბლნარი, წიფლნარი-მარადმწვანე ქვეტყით, წიფლნარი-კოლხური ბუჩქის ქვეტყით, მუხნარი ტყე, მარადმწვანე კოლხური ქვეტყით, წაბლნარ-რცხილნარ-წიფლნარი ტყე, მარადმწვანე კოლხური ქვეტყით და სხვა. ელექტროგადამცემი ხაზის შემთხვევაში, საკვლევ ტერიტორია გადის სასოფლო-სამეურნეო მიწებზე და შესაძლოა დახასიათებული იქნას როგორც ანთროპოგენური ჰაბიტატი - აგრარული (სასოფლო-სამეურნეო). ჰაბიტატების და მცენარეული თანასაზოგადოების იდენტიფიცირება განხორციელდა ველზე დაკვირვების მიხედვით. ლიტერატურული წყაროების მეშვეობით მოხდა დაფიქსირებული ჰაბიტატების ზუსტი იდენტიფიცირება. საკვლევ ზონა წარმოადგენს ერთგვარ სენსიტიურ ჰაბიტატების კომპლექსს, სადაც გვხვდება საქართველოს წითელი ნუსხის მცენარეული სახეობები, როგორებიცაა იმერული მუხა - *Quercus imeretina* და ძელქვა - *Zelkova carpinifolia*, კოლხური ბუჩქი - *Buxus colchica*, ჩვეულებრივი წაბლი - *Castanea sativa*, უთხოვარი-ურთხელი - *Taxus baccata* და სხვა. ზემოქმედების შესაფასებლად მოხდა ქარის ელექტროსადგურის ქვეშ მყოფი ტერიტორიის დაყოფა ჰაბიტატების ტიპისა და ტერიტორიაზე განვითარებული მცენარეულობის მიხედვით. ანგარიშის თანახმად, გოგნის ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა-ექსპლუატაციისთვის საჭირო იქნება დაცული სახეობების გარემოდან ამოღება. შემარბილებელი ღონისძიებების მიზნით ანგარიში ითვალისწინებს, წითელ ნუსხით დაცული ხე-მცენარეების აღწერას, კოორდინატების დაფიქსირება, მათი გარემოდან ამოღებისთვის საჭირო პროცედურების შესრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გადაადგილების დადგენილი მარშრუტიდან გადახვევის აკრძალვა და სხვა.

გზის ანგარიშის მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე ზაფხულის პერიოდში ჩატარებული კვლევის შედეგად, აღირიცხა: ამფიბიები - 7 სახეობა, რეპტილიები - 10 სახეობა, ფრინველები - 63 სახეობა და ძუძუმწოვრები - 24 სახეობა. ტერიტორიაზე ფრინველებიდან გავრცელებულია: ჩვეულებრივი კაკაჩა (*Buteo buteo*), კრაზანაჭამია (*Pernis apivorus*), მიმინო (*Accipiter nisus*), ტყის ბუ (*Strix aluco*), ოფოფი (*Upupa epops*), გუგული (*Cuculus canorus*) და სხვა. საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილი ძუძუმწოვრებიდან გავრცელებული სახეობაა აღმოსავლეთევროპული ზღარბი (*Erinaceus concolor*), კავკასიური თხუნელა (*Talpa caucasica*), რადეს ბიგა (*Sorex raddei*) და სხვა. საკვლევ ტერიტორიაზე არსებული ფაუნის ენდემური სახეობებიდან წარმოდგენილია ამფიბიები: კავკასიური გომბემო (*Bufo verrucosissimus*), მცირეაზიური ბაყაყი (*Rana macrocnemis*). ქვეწარმავლები: ართვინის ხვლიკი (*Darevskia derjugini*), ქართული ხვლიკი (*Darevskia rudis*), კავკასიური გველგესლა (*Vipera kaznakovi*). ძუძუმწოვრები: კავკასიური თხუნელა (*Talpa caucasica*), ვოლნუხინის ბიგა (*Sorex volnuchini*), მცირეაზიური მემინდვრია (*Chionomys roberti*). საპროექტო რეგიონში აღრიცხული საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობებიდან გავრცელებულია ქვეწარმავლები: კავკასიური გველგესლა (*Vipera kaznakovi*), ფრინველები: ორბი (*Gyps fulvus*), ველის კაკაჩა (*Buteo rufinus*), ძუძუმწოვრები: კავკასიური ციყვი (*Sciurus anomalus*), მურა დათვი (*Ursus arctos*);

პროექტის გავლენის ზონაში ხელფრთიანებზე და ფაუნის წარმომადგენლებზე მონიტორინგი და კვლევა, განხორციელდა 27.03.2025-10.11.2025 შუალედში. კვლევისას გამოყენებული იქნა ულტრაბერითი

დეტექტორები, ხელფრთიანთა დასაჭერი სპეციალური ბადეები. ამასთან, დოკუმენტაციაში მოცემულია ინფორმაცია ორნითოლოგიური კვლევების შესახებ, კვლევის პერიოდის, არეალის და მეთოდების მითითებით. მოცემულ კვლევებზე დაყრდნობით, შესაძლო ზემოქმედების პრევენციის მიზნით, გზშ-ის ანგარიშში და დანართში წარმოდგენილია რეკომენდაციები და შემარბილებელი ღონისძიებები როგორცაა (ქარის ტურბინების სპეციალური რეჟიმის დაცვა და გაჩერება, ტურბინის ფრთების ქარის პარალელურად დაფიქსირება/შებრუნება ან როტორის/მთლიანი ერთეულის იმგვარი პოზიციონირება, რომელიც უზრუნველყოფს ბრუნვის მაქსიმალურ შენელებას ან შეჩერებას, ტურბინის გენერირების სიჩქარის მატება და სხვა). გზშ-ის ანგარიშის შესაბამისად, შემუშავებულია რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც: „ქარის ტურბინებზე დამონტაჟდება პასიური დეტექტორები, რათა განისაზღვროს ხელფრთიანთა აქტივობა და შემუშავდეს შესაბამისი შემდგომი რეკომენდაციები“, ელექტროგადამცემ ხაზზე, მოხდება ფრინველების დამაფრთხობელი საშუალებების დაყენება.

გზშ-ის ანგარიშში მოცემულია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე. დანართის სახით წარმოდგენილია კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ანგარიში, რომლის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია დაყოფილია სექციად: სექცია 1 - ტურბინების ჩრდილოეთი ხაზი T17-T28), სექცია 2 - ტურბინების სამხრეთ აღმოსავლეთის ხაზი (T10-T16), სექცია 3 - ტურბინების სამხრეთ-დასავლეთ ხაზი (T01-T09), სექცია 4 - მაღალი ძაბვის ეგზ N1-45 ანძები, სექცია 5 - ეგზ-ს ანძები N46-N85. საპროექტო არეალში გამოვლენილ იქნა შემდეგი ადგილი: წრიული ნაგებობა (ჩხარი, თერჯოლა) N28 ანძიდან 0.08 კმ-ში (სექცია 4, GPS კოორდინატებია: X-42.997109, Y-42.237391), ნამოსახლარი გზისპირას (ჩხარი, თერჯოლა), სამშენებლო ბუფერიდან 0.2 კმ-ში (სექცია 4, GPS კოორდინატებია: X43.001475, Y-42.256487), სავარაუდო არქეოლოგიური ობიექტი (ჩხარი, თერჯოლა) N18 ანძიდან 0.2 კმ-ში (სექცია 4, GPS კოორდინატებია: X- 43.004562; Y-42.258528), ნაგებობის ნაშთები (გოგნი, თერჯოლა) T07 ჩრდილო-დასავლეთით 1.1 კმ (სექცია N3), ხოლო ანძა N1-დან 0.8 კმ-ში (სექცია N4 GPS კოორდ: X-43.007407; Y-42.292904), ნაგებობის ნაშთები 2 (გოგნი, თერჯოლა) T07-დან 1.0 კმ, ხოლო ანძა N1-დან (სექცია N3) 0.6 კმ-ში, (სექცია N4 GPS კოორდინატებია: X-43.005473; Y-42.291431).

სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ანგარიშის მიხედვით საპროექტო ტერიტორია არ ხვდება კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ინდივიდუალურ დამცავ ზონებში, თუმცა, მასთან სიახლოვეში დაფიქსირდა არქეოლოგიური ობიექტების არსებობა. შესაბამისად, გაცემულია რეკომენდაციები, რომელიც ითვალისწინებს მთლიან საპროექტო ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების წარმართვას არქეოლოგიის მეთვალყურეობით, განსაკუთრებით კი მე-3 და მე-4 უბანზე, ასევე N17 და N18 ანძების მონაკვეთებში, ხოლო N27 და N28 ანძების ტერიტორიასა და მათ შორის მონაკვეთზე, მიწის სამუშაოებს წინ უნდა უსწრებდეს ტერიტორიის გადამოწმება არქეოლოგიური შურფების საშუალებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს აუცილებლად მიაჩნია, რომ დაცული იყოს გზშ-ს ანგარიშის ეტაპზე განხორციელებული არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ანგარიშში დაფიქსირებული რეკომენდაციები. ამასთანარქეოლოგიური მეთვალყურეობის ანგარიშის წარადგინოს სააგენტოში. გზშ-ის აგარიშის შესაბამისად, საპროექტო არეალში მდებარე ხილულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, ხოლო მისასვლელი გზების მოწყობის სამუშაოების დროს

გათვალისწინებულია შემარბილებელი ღონისძიებები (მძიმე ტექნიკის გადაადგილების შეზღუდვა, მიწის სამუშაოების ეტაპზე არქეოლოგიური მონიტორინგი რეპორტივით, სექცია N1-ის ტერიტორიაზე ვიზუალური ბუფერის მოწყობა და სხვა).

პროექტის განხორციელება დაკავშირებული იქნება გარემოს ვიზუალურ-ლანდშაფტურ ცვლილებასთან. განხილულია ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება, როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე. მშენებლობის ეტაპზე ლანდშაფტის დროებითი ცვლილება დაკავშირებული იქნება სამშენებლო მოედნების მოწყობის, მანქანა-დანადგარების მოქმედებისა და მასალების შენახვის აუცილებლობით. ანგარიშის თანახმად მშენებლობის ეტაპზე ვიზუალური გავლენა იმ ადამიანებზე, რომლებიც ამ ადგილებში გადაადგილდებიან, მინიმალური იქნება და არ გადააჭარბებს სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დროს შექმნილ ტიპურ ზემოქმედებას. შესრულებული ვიზუალური ზემოქმედების მოდელირებით განისაზღვრა მოსალოდნელი ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება ტურბინებთან ყველაზე ახლოს მდებარე რაიონებში: სოფ. გოგნი, სოფ. ჩხარი, სოფ. მუხურა, სოფ. ალისუბანი და სხვა. პროექტი ასევე ითვალისწინებს საკაერო ელექტროგადამცემი ხაზის ვიზუალურ-ლანდშაფტურ ზემოქმედებას. როგორც უკვე აღინიშნა ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის ძირითადი ნაწილი მდებარეობს სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, დაცილებული საცხოვრებელი სახლებიდან და ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედება მნიშვნელოვანი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის გასხვისების დერეფანში ხვდება 681 მიწის ნაკვეთი, საიდანაც 207 არის სახელმწიფო მფლობელობაში, ხოლო 474 - კერძო მიწის ნაკვეთები. ანგარიშის თანახმად, ყველა ნაკვეთი იდენტიფიცირებულია. კერძო მიწის ნაკვეთების მფლობელების დაახლოებით 60%-ზე გაფორმებულია შეთანხმება, ხოლო დანარჩენ 40%-ზე მიმდინარეობს დოკუმენტაციის მოწესრიგება. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტერიტორიის ნაწილი გოგნის ქარის ელექტროსადგურის მფლობელობაში გადავა, ხოლო ნაწილის დატვირთვა მოხდება სერვიტუტით. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ქვესადგურის განთავსებისთვის საჭირო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებთან (ს/კ: 33.16.31.329; ს/კ: 33.16.31.301; ს/კ: 33.16.31.493) მოხდება შეთანხმება.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ნარჩენების მართვის გეგმა. პროექტის ფარგლებში მოსალოდნელია როგორც არასახიფათო, ისე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. არასახიფათო ნარჩენები ძირითადად მოიცავს სამშენებლო ნარჩენებს, ხოლო სახიფათო ნარჩენები შეიძლება წარმოიშვას სამშენებლო ტექნიკის ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების შედეგად (ზეთები, ფილტრები, საბურავები და სხვა), რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, ნარჩენების წარმოქმნა დაკავშირებული იქნება ტექნიკური მომსახურების პროცესებთან, გენერატორებისა და ქვესადგურის მომსახურებასთან წარმოქმნილ ნარჩენებთან (ზეთები, საცხები, მწყობრიდან გამოსული მეტალისა და პოლიმერული დეტალები), მათი განკარგვა მოხდება კანონმდებლობის შესაბამისად. პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი ფუჭი ქანები გამოყენებული იქნება პროექტის მიზნებისთვის.

გზშ-ის ანგარიშში განხილულია სატრანსპორტო ნაკადებზე პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედება, მართვა და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია. ანგარიშის მიხედვით, სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედების რისკების შემცირების მიზნით გათვალისწინებულია შემდეგი სახის შემარბილებელი ღონისძიებები: მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება სამუშაოების

წარმოების დროისა და პერიოდის შესახებ, სამუშაო უბანზე მისასვლელად ოპტიმალური მარშრუტის შერჩევა, მშენებლობის და ექსპლუატაციის პერიოდში მყარი საფარით დაფარულ გზებზე მუხლუხიანი ტექნიკის მოძრაობის აკრძალვა, საჭიროების შემთხვევაში საავტომობილო საშუალებების მოძრაობის კონტროლი შესაბამისი პერსონალის მიერ და სხვა.

ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია კუმულაციური ზემოქმედების შესახებ, რომლის შესაბამისად, საპროექტო ქეისის ტერიტორიაზე არ გვხვდება მსგავსი ინფრასტრუქტურული პროექტები, შესაბამისად კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, ხოლო საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის სიახლოვეს ახალი ეგზ-ების მშენებლობა დაგეგმილი

არ არის, მაგრამ მრავლადაა უკვე არსებული 500, 220, 110, 35 კვ-იანი და უფრო ნაკლები ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები, რომლებიც ან უახლოვდება ან კვეთს საპროექტო ეგზ-ს. აღნიშნული ელექტროგადამცემი ხაზები „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, სს „ენერგო-პროჯორჯიას“ და სს „საქრუსენერგოს“ მფლობელობაშია. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ელექტრომაგნიტური ველების გავრცელების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, ეგზ-სა და მოსახლეობას შორის კანონმდებლობით დადგენილი მანძილის არსებობის გათვალისწინებით. ასევე, პროექტი ითვალისწინებს შემარბილებელ ღონისძიებებს, როგორცაა ფრინველის დამაფრთხილებელი საშუალებების დაყენება, მინიმალური ბუფერის გამოყენება, არსებული გზებისა და კორიდორების გამოყენება ახალი ჩეხვის თავიდან ასაცილებლად და სხვა.

როგორც აღინიშნა გზმ-ის ანგარიშის განხილვის მიზნით სააგენტომ უზრუნველყო შესაბამისი უწყებების (სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, სსიპ კულტურული მემკვიდრეების დაცვის ეროვნული სააგენტო, სს „ენერგო-პროჯორჯია“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, სს გეს „საქრუსენერგო“, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, საქართველოს რკინიგზა) ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა, მათ შორის დოკუმენტაცია გადაიგზავნა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში გზმ-ის ანგარიშთან და ზემოქმედების არეალში მოქცეულ ტერიტორიასთან დაკავშირებით შენიშვნები/მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორიის ნაწილი, კვეთს სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) მოპოვების მიზნით გაცემული ლიცენზია N 1834 კონტურს (შპს „ჩოლაბური“, ს/ნ N 231945296, ვადა - 20.06.2030 წ.), ჩოლაბურის ქვიშა-ხრეშის და ალისუბნის კირქვის საბადოების და კირქვის გამოვლინების (საღორდე ნედლეული) კონტურებს, საპროექტო ტერიტორია კვეთს ყვირილის დეპრესიის მანგანუმის საბადოს კონტურს და მოიცავს სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) მოპოვების ლიცენზიის ალების მიზნით წარმოდგენილი განაცხადის ID-213565 კონტურს, რომელზეც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აკრძალულია წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარის ან/და სხვა ფორმით გადაცემა სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების, ხოლო ლიცენზირებული ობიექტის შემთხვევაში – აგრეთვე ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების გარეშე.

როგორც აღინიშნა, ქარის ელექტროსადგურის ტურბინა-დანადგარის სიმაღლე შეადგენს 140 მ-ს. სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ცნობით შერჩეული ადგილმდებარეობები არ ხვდება რომელიმე

აეროდრომის დაცვის არეში და შესაბამისად სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან შენობა-ნაგებობის სიმაღლის შეთანხმებას არ საჭიროებს, თუმცა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ოქტომბრის N471 დადგენილების - “ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიწოდების, მათი უფლება-მოვალეობების და ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიწოდების წესი“-ს შესაბამისად, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ყველა იმ შენობა-ნაგებობის შესახებ მონაცემები, რომლებიც მიწის დონიდან 100 მეტრი ან მეტია, გამოქვეყნებულ უნდა იქნას საქართველოს ჰაერსანაოსნო ინფორმაციის კრებულში (AIP); საქართველოს ჰაერსანაოსნო ინფორმაციის კრებულში შენობა-ნაგებობის შესახებ მონაცემების გამოქვეყნების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 12 მარტის №106 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო საავიაციო უსაფრთხოების მიზნებისთვის განკუთვნილი გეოდეზიური სამუშაოების შესრულების წესი“-ს დანართი 1-ის შესაბამისად შემუშავებული უნდა იქნას გეოდეზიური სამუშაოების ანგარიში. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 06 მარტის N73 დადგენილების - „აეროდრომისა და ვერტოდრომის დაცვის არის დადგენისა და ამ არეში საავიაციო დაბრკოლების შემქმნელი შენობა-ნაგებობის მშენებლობის, აგრეთვე აღნიშნული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის, შეზღუდვისა და ნიშანდების წესი“-ს 28-ე მუხლის 1 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, თუ შენობა-ნაგებობის სიმაღლე მიწის დონიდან არის 150 მეტრი ან მეტი, ის ექვემდებარება დღის და ღამის ნიშანდებას, რომელიც უნდა შესრულდეს ამავე დადგენილების 35-ე მუხლის შესაბამისად. ზემოაღნიშნული ინფორმაცია და ასევე ინფორმაცია შენობა-ნაგებობის განთავსების თარიღის შესახებ საჭიროა წარდგენილი იქნას სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში.

სს “ენერგო-პრო ჯორჯიას” კორესპონდენციის შესაბამისად, საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულია კომპანიის კუთვნილი 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები (ს/კ 33.00.419; ს/კ 33.00.414-425) და 10 კვ ელექტროგადამცემი ხაზები. დაგეგმილი სამუშაოების შესასრულებლად სავალდებულოა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილებით “ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესის და მათი დაცვის ზონები” განსაზღვრული პირობების დაცვა. ამასთან თვითნებურად, კომპანიის თანხმობის გარეშე დაუშვებელია სადენებსა და მიწის ზედაპირს შორის ვერტიკალური გაბარიტის შემცირება მიწაყრილით, მოხრეშვით, მობეტონებით და ა. შ. სს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას” პროექტთან დაკავშირებით კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია. ამასთან, სს გეს „საქრუსენერგო“ არ არის წინააღმდეგი წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით, მოხდეს საპროექტო ორჯაჭვა 220 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა და ექსპლუატაცია. ამასთან საქმიანობის განმახორციელებლისთვის ასევე სავალდებულოა საქართველოს მთავრობის 2013 წლის №340 დადგენილებით „უსაფრთხოების წესები ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას“ და „ელექტროდანადგარების მოწყობის წესები“-ს დაცვა. ხოლო 500 კვ ეგბ „იმერეთის“ №364-№365 მალში სამუშაოების დაწყების შესახებ, სამუშაოთა უსაფრთო მიმდინარეობის შესრულების კონტროლის მიზნით სავალდებულოა ზესტაფონის სსუ-ს ხელმძღვანელის დასწრება.

სსდ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის კორესპონდენციის შესაბამისად დეპარტამენტი არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს სამშენებლო სამუშაოები (თბილისი - სენაკი -

ლესელიძის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ195+390მ-ზე ღერძის განივად გადაკვეთის შესრულება საჰაერო გზით) კომპანიასთან შეთანხმებული ტექნიკური პირობების შესაბამისად.

შპს „საქართველოს რკინიგზის“ ცნობით დაგეგმილ პროექტსა და სარკინიგზო ინფრასტრუქტურას შორის დაშორების მანძილის (360 მეტრი) გათვალისწინებით საქართველოს რკინიგზა არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს აღნიშნული პროექტი.

გზმ-ის ანგარიშს თან ერთვის დაგეგმილი საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

გზმ-ის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ფეისბუქზე განთავსება. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა თერჯოლის და ტყიბულის მუნიციპალიტეტებში, გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში.

გზმ-ის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართა 2026 წლის 18 თებერვალს ტყიბულის მუნიციპალიტეტში (სოფ. მუხურა), 2026 წლის 19 და 20 თებერვალს თერჯოლის მუნიციპალიტეტში (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის შენობაში, სოფ. ახალთერჯოლაში, სოფ. ჩხარში და სოფ. გოგნში). საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, ტყიბულის და თერჯოლის მუნიციპალიტეტების, შპს „გოგნის ქარის კომპანიის“, შპს „დგ კონსალტინგის“, წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა, საჯარო განხილვებზე ყურადღება გამახვილდა სოციალურ-ეკონომიკურ, გაჩეხილი ტყის სანაცვლოდ წიწვოვანი ნარგავების დარგვის, ასევე გაჩეხილი ტყით სარგებლობის საკითხებზე, ასევე ქესის ტურბინების განთავსების ადგილების შესახებ. შესაბამისი განმარტებები გააკეთა შპს „გოგნის ქარის კომპანიის“ და საკონსულტაციო კომპანიის წარმომადგენელმა. საჯარო განხილვებზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი განმარტებები აისახა შესაბამისი საჯარო განხილვის ოქმებში.

გზმ-ის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ წარმოდგენილა.

აღნიშნული გზმ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართი 28 პუნქტის და II დანართის 3.9 და 3.4 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თერჯოლის, ზესტაფონის და ტყიბულის მუნიციპალიტეტებში, შპს „გოგნის ქარის კომპანიის“ 224 მგვტ სიმძლავრის „გოგნის ქარის ელექტროსადგურის“, 220 კვ ძაბვის საჰაერო და 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზების და 220 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე;

2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;

3. შპს „გოგნის ქარის კომპანია“ ვალდებულია:

ა) საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის, ასევე დაზუსტებული დოკუმენტაციის, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შერბილების და თავიდან აცილების ქმედებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, ასევე ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით;

ბ) მშენებლობა უზრუნველყოს დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საფუძველზე. მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ქესის ინფრასტრუქტურული ობიექტების განლაგების არეალში და მათ მიმდებარედ საშიშ გეოლოგიურ პროცესებზე მონიტორინგის წარმოება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში საშიშ გეოლოგიური პროცესებით დამაბულ უბნებზე შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება;

გ) ექსპლუატაციის დაწყებამდე უზრუნველყოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხელფრთიანთა მონიტორინგის დეტალური გეგმა/პროგრამის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც ასევე დამატებით აისახება აშენების შემდგომი მონიტორინგის ხანგრძლივობა, მასშტაბი, შემარბილებელი ღონისძიებების გამკაცრების და/ან შერბილების საჭიროების საკითხი, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე ხელფრთიანთა სიკვდილიანობის მონიტორინგის საკითხი (მეთოდოლოგია EUROBATS-ის სახელმძღვანელოს პრინციპების შესაბამისად - ლემის სისტემატური ძებნა - ლემიჭამიების მიერ ნარჩენების გატანის ალბათობისა და დაფიქსირების ცდომილების კორექტირებით და სხვა). მონიტორინგის შედეგად საჭიროების შემთხვევაში განისაზღვროს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები;

დ) ექსპლუატაციის დაწყებამდე სააგენტოში შესათანხმებლად წარმოადგინოს დაზიანებული ჰაბიტატების აღდგენის გეგმა დაზიანებულ ტერიტორიაზე ან/და სანაცვლო ტერიტორიებზე;

ე) ყოველწლიურად უზრუნველყოს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ანგარიშის სააგენტოში წარმოდგენა;

ვ) სამუშაოების განხორციელება უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით;

ზ) მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სააგენტოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად, ხოლო ნარჩენების მართვა განახორციელოს საქართველოს კანონის ნარჩენების მართვის კოდექსით და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ვალდებულებებისა და მოთხოვნების და სააგენტოსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;

თ) ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სტაციონარული წყაროების არსებობის, ასევე ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების ან/და წყალჩაშვების შემთხვევაში, აღნიშნული ობიექტების მოწყობამდე უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვა;

ი) უზრუნველყოს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან და ლიცენზიის მფლობელებთან საქმიანობის შეთანხმება. საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგოსთან, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან, სს “ენერგო-პრო ჯორჯიასთან” და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეთანხმებული პირობების დაცვით;

კ) საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების შესაბამისად, ხოლო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში უზრუნველყოს არქეოლოგიური მეთვალყურეობის ანგარიშის წარდგენა;

ლ) საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს “ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიწოდებლების, მათი უფლება-მოვალეობების და ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიწოდების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ოქტომბრის N471 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან შეთანხმების შესაბამისად;

მ) საქმიანობის გავლენის ზონაში მოქცეულ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს მესაკუთრებთან საქმიანობის შეთანხმება;

ნ) სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ნებისმიერი ქმედება განხორციელოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და უზრუნველყოს აღნიშნული საკითხის ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან შეთანხმება;

ო) უზრუნველყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;

პ) მშენებლობის დაწყების, დასრულების და ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ აცნობოს სააგენტოს;

ჟ) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით.

4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „გოგნის ქარის კომპანია“-ს.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გოგნის ქარის კომპანიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

6. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე თერჯოლის, ტყიბულის, და ზესტაფონის მუნიციპალიტეტების მერიების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფაზე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/203-21-4-202603301842>

